46. მარგალიტა მიხეილის ასული **ქავთარაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

47. თამარ სამუილის ასული **ქარქაშაძე** — თერჯოლის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

48. ივანე ნიკოლოზის ძე **ქოთოლაშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

49. ვიქტორ ვლადიმერის ძე **ქუჩულორია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

50. მიხეილ პავლეს ძე **ქუთათელაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

51. თამარ იოსების ასული **ღარიბაშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ინჟინერი.

52. ნაზი ვლადიმერის ასული **ყორანაშვილი-ბურდული** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი.

53. ლეონიდე ნიკიფორეს ძე **შავიშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უფროსი ინჟინერი.

54. კანდიდ ნესტორის ძე **ჩარკვიანი** — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

55. ნოდარ დავითის ძე **ჩიბალაშვილი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

56. ევგენია ალექსანდრეს ასული **ჩიხლაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

57. ავთანდილ ვარლამის ძე **ჩხეიძე** — სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის გამგე.

58. გიორგი კალისტრატეს ძე **წილოსანი** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსის მოადგილე.

59. ლამარა გრიგოლის ასული **ჯოხაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ქვეგანყოფილების უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 10 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. მ. მესხიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

19

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ სოცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალური უზრუნველყოფის მინისტრი ამხ. გიორგი მურადის ძე **მესხიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 ამხ. ვ. ლ. წილოსანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოცდახუთ წელთან დაკავშირებით, ამხ. ვლადიმერ ლევანის ძე **წილასონი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 ამხ. კ. დ. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სამმართველოს უფროსი ამხ. კონსტანტინე დავითის ძე **ჯაში** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 19 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 ამხ. ბ. ბ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქარ-

№ 2 ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. გივი გიორგის ძე **დოლიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 26 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 ამხ. ნ. ი. მექვაბიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე ამხ. ნესტორ იასონის ძე **მექვაბიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 26 თებერვალი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 ამხ. გ. მ. მიროტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გამოფენის განყოფილების უფროსი ამხ. გრიგოლ მალაქიას ძე **მიროტაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1971 წლის 26 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

25 პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისა და მუყაოს წარმოების ამუშავების უზრუნველყოფისათვის საქართველოს სსრ სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციათა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. სამუილ მოსეს ძე **აბრამოვიჩი** — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ გამშვებ-გამწყობი სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

2. ბეიჯან ბაირამ ყზი **აივაზოვა** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ტრანსსპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს მხურავი.

3. თენგიზ ივანეს ძე **ბაბუნაშვილი** — გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მთავარი ინჟინერი.

4. ზანგური გიორგის ძე **ბარბაქაძე** — „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალი.

5. სერგო აკაკის ძე **ბელელაძე** — ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ელექტრომემონტაჟე.

6. გიორგი თეოფანეს ძე **გრძელიშვილი**—„პრომვენტილაციის“ სამმართველოს რუსთავის უბნის უფროსი.

7. ნოდარ გრიგოლის ძე **გოგოლაშვილი** — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების **უფროსი.**

8. ალექსანდრე რუბენის ძე **გოგიაშვილი** — „იუჟსტალკონსტრუქციის“ რუსთავის სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი.

9. გრიგოლ ივანეს ძე **დიკუნი** — ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს მემონტაჟე.

10. გალაქტიონ გიორგის ძე **დოლიძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.

11. ვასილ პროკოფის ძე **ვოროშილოვი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მემონტაჟეთა ბრიგადირი.

12. სულიკო პეტრეს ძე **თხელიძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს მხურავთა ბრიგადირი.

13. გურგენ ალექსანდრეს ძე **კვიზინაძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეთა ბრიგადირი.

14. ვლადიმერ პეტრეს ძე **კოვალიოვი** — ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ საწარმოო მექანიკური განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. კლავდია პეტრეს ასული **კოზლოვა** — „მონტაჟთერმონაწარმის“ სამმართველოს მამხოლოებელი.

16. შალვა მიხეილის ძე **კოპაძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სინთეტმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.

17. არკადი კონინის ძე **კოსაჩი** — ტრესტ „იუჟმონტაჟავტომატიკის“ სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

18. ვიტალი კუზმას ძე **კუდინოვი** — „პრომვენტილაციის“ სამმართველოს მემონტაჟე.

19. პავლე მიხეილის ძე **კუდრიაშოვი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 სპეცმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.

20. ანდრია ალექსანდრეს ძე **კუზმიჩი** — ტრესტ „სოიუზბუმმონტაჟის“ მთავარი ტექნოლოგი.

21. ანატოლი სერგის ძე **კულიკოვი** — ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალი.

22. ნიკოლოზ გიორგის ძე **ლაბუტინი** — ტრესტ „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

23. რომან ალექსანდრეს ძე **ლეკვეიშვილი** — ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალი.

24. ანა ეფრემის ასული **ლიზუნი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მებათქაშეთა ბრიგადირი.

25. მურთაზ ივანეს ძე **მესხურაძე** — ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

26. გიორგი იაკობის ძე **მიქაძე** — „იუჟსტალკონსტრუქციის“ სამონტაჟო სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

27. ალექსანდრე იოსების ძე **მოსკვიჩევი** — ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

28. ალექსი ვასილის ძე **მუშკინოვი** — ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ თბილისის სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.

29. შოთა შალვას ძე **ნადირაძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს მეარმატურეთა ბრიგადირი.

30. ალექსანდრე სიმონის ძე **ოგანოვი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.

31. ვიქტორ კონსტანტინეს ძე **რიაბინოვი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი.

32. დიმიტრი ალექსის ძე **სტეგანცოვი** — ტრესტ „სოიუზბუმმონტაჟის“ უბნის უფროსი.

33. ანატოლი ივანეს ძე **ტერეშჩენკო** —ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს მემონტაჟე.

34. დავით ნიკოლოზის ძე **ტიკურაშვილი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ქიმრეწვმშენის სამშენებლო სამმართველოს მუშა.

35. ვლადიმერ შიოს ძე **ფურცელაძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ქიმმრეწვმშენის სამშენებლო სამმართველოს მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. ტარას დემიდეს ძე **შევჩენკო** — ტრესტ „საქმექანმონტაჟის“ თბილისის სამმართველოს უბნის უფროსი.

37. მანძულა ილიას ძე **შუბითიძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს დურგალი.

38. ალბერტ ალექსანდრეს ძე **ჩიქოვანი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 ქიმმრეწვმშენის სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

39. ირაკლი ნიკოლოზის ძე **ჩხეიძე** — გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის დირექტორი.

40. გიორგი ალექსის ძე **ცელაშვილი** — „პრომსვიაზმონტაჟის“ სამმართველოს დამრჩილავი.

41. ალექსი ივანეს ძე **ხავრონინი** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს უბნის უფროსი.

42. სპარტაკ კონსტანტინეს ძე **ჯონგოვაძე** — „ზაკმეტალურგსტროის“ ტრესტ № 1 მეტალურგმშენის სამშენებლო სამმართველოს ელექტრომონტიორი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტები:

1. **გურსკი** ზიგმუნდი — ოსტატი-ტექნოლოგი.
2. **ვალჩაკი** კაზიმირი — ინჟინერ-ტექნოლოგი.
3. **ვიხაროვსკი** იანი — ტექნიკოსი-მექანიკოსი.
4. **დამსი** არკადიუში — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
5. **დროშინსკი** იანი — რეკუპერაციის ინჟინერი.
6. **დუზინკევიჩი** ფრანციშეკი — დეფიბრატორების ტექნოლოგი.
7. **კოსიცკი** მარეკი — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
8. **ლებედზია** სდისლავი — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
9. **ლოეკი** ცირილია — ტექნიკოსი-მექანიკოსი.
10. **მაზურჩაკი** ბრონისლავი — ავტომატიკის ინჟინერი.
11. **მაშკალო** ზბიგნევი — ინჟინერი-მეიზოტოპელი.
12. **მილოცკი** სტანისლავი — ოსტატი-მემონტაჟე.
13. **ნოვაკოვსკი** ბრონისლავი — ოსტატი-ტექნოლოგი.
14. **ჟაკოვიჩი** იუზეფი — ტექნიკოსი-ელექტრიკოსი.
15. **როტაიჩაკი** ანჯეი — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
16. **სეტი** ვაცლავი — ტექნიკოსი-მექანიკოსი.
17. **სოლტისი** ჩესლავი — ოსტატი-მემონტაჟე.
18. **ტარლოვსკი** მარეკი — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
19. **ტოკასი** მიცისი — ინჟინერი-ელექტრიკოსი.
20. **ფილიპი** იანი — ჯგუფის ხელმძღვანელი.
21. **ფიოუნი** ფრანციშეკი — ტექნიკოსი-მექანიკოსი.
22. **შლაგოვსკი** ვაცლავი — მემონტაჟეთა ხელმძღვანელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 26 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1970 წლის 26 თებერვალს განიხილა საკითხი მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესრულების თაობაზე. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების განსახორციელებლად.

ამავე დროს, როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ზოგგან ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმე, განცხადებების აღრიცხვა, ხშირად, წარმოებს არასწორად, ირღვევა საჩივრების განხილვისათვის დადგენილი ვადა, არ იცავენ განცხადებებისა და საჩივრების გაგზავნის წესს, არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეებს არ აცნობებენ, თუ რა ზომებია მიღებული და სხვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა შესაბამისი ღონისძიებანი არსებული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის, დეპუტატ პ. გელბახიანის მოხსენება ბოლნისის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, წითელწყაროსა და ხაშურის რაიონების სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს ზემოთ დასახელებულ რაიონებში სოფლის მშრომელთა სამედიცინო მომსახურება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საავადმყოფოები და პოლიკლინიკები უზრუნველყოფილია თანამედროვე სამედიცინო ინვენტარით, დანადგარებითა და მოწყობილობებით, ხოლო აფთიაქები — საჭირო მედიკამენტებითა და პრეპარატებით.

ამაღლდა ექიმთა კვალიფიცია, გაძლიერდა მათი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის. შემცირდა შინ მშობიარობის შემთხვევები, გაუმჯობესდა დისპანსერიზაციისა და დიაგნოსტიკის საქმე.

საბჭოებისა და მათი აღმასკომების სხდომაზე პერიოდულად განიხილავენ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საკითხებს. მათ განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბოლნისის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, წითელწყაროსა და ხაშურის რაიონების სოფლის ძოსახლეობის სამედიცინო მომსახურების საქმეში არის ნაკლოვანებები.

ჯერ კიდევ დაუკომპლექტებელია ექიმებით ბოლნისის, თერჯოლის, წითელწყაროსა და ჩხოროწყუს რაიონების ზოგიერთი სოფლის ჯანმრთელობის დაცვის პუნქტები.

გასაუმჯობესებელია ავადმყოფთა ლაბორატორიული მომსახურება.

ნაკლოვანებებია ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. არ ხდება სტაციონარსა და ამბულატორია-პოლიკლინიკას შორის დიაგნოზთა სხვაობის ანალიზი.

მოწყობილი არ არის საკოლმეურნეო სარძეო სამზარეულოები, არასაკმარისია სეზონური საკოლმეურნეო ბაგა-ბაღები.

გაუმჯობესებას მოითხოვს სამედიცინო დაწესებულებათა მატერიალური ბაზა. მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ მონაწილეობენ ამ დაწესებულებათა მშენებლობასა და შეკეთებაში. ბოლნისის რაიონის ზოგიერთი საფერშლო-საბებიო პუნქტი მოთავსებულია დაქირავებულ ბინებში. შესაკეთებელია წითელწყაროს რაიონის სოფლების არხილოსკალოსა და არბოშიკის საავადმყოფოები. შეუფერებელ შენობებშია განლაგებული ხაშურის რაიონული საავადმყოფო და პოლიკლინიკა. რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ჭიათურის № 8 ტრესტის ზესტაფონის სამშენებლო სამმართველო აჭიანურებს თერჯოლის 60-საწოლიანი სამშობიარო სახლის მშენებლობას. სისტემატურად ვერ ითვისებს სამედიცინო ობიექტების შეკეთებისათვის გამოყოფილ სახსრებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქკომუნრემმშენის“ ტრესტის ბოლნისის რაიონული სარემონტო კანტორა.

ნაკლოვანებებია ავადმყოფთა კვების საქმეშიც. მეტ წილ საავადმყოფოებში არ ხდება დღიური კალორაჟის გამოანგარიშება. სამკურნალო დაწესებულებებში აუთვისებელი რჩება ავადმყოფთა კვებისათვის გამოყოფილი სახსრები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები დ. იოსელიანი, დ. ჯიჯელავა, გ. ხუნდაძე, ბოლნისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ე. გობეჯიშვილი, ხაშურის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჭ. გუჯეჯიანი, წითელწყაროს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მდივანი მ. ბილიაშვილი, სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტები რ. სიგუა, ლ. თურქიაშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. შელია, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამმართველოს უფროსი ლ. ირემაძე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლ. ქავთარაძე.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო დადგენილება.

მუდმივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X X X

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ ვ. გოცირიძის მოხსენება ქ. ქ. სიღნაღში, წნორში, ახმეტაში და დაბა ხობში კეთილმოწყობისა და კომუნალური მომსახურების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ დროს აქ ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების სიღნაღის, წნორის, ახმეტის საქალაქო და ხობის სადაბო საბჭოები პერიოდულად სწავლობენ და სესიებზე და კომისიის სხდომებზე იხილავენ კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საკითხებს.

ამ ქალაქებისა და დაბის მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობს კეთილმოწყობის სამუშაოებში, გზებისა და ქუჩების გამწვანებაში.

ამასთან კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქ. ქ. სიღნაღში, წნორში, ახმეტასა და დაბა ხობში კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის რიგი ნაკლოვანება.

ქ. ახმეტაში არ სრულდება ქუჩების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის გეგმები, არ იგეგმება გამწვანების სამუშაოები, არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა.

ქ. სიღნაღში არ სრულდება კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის გეგმები.

არ არის უზრუნველყოფილი აგრეთვე მშენებლობის გეგმების შესრულება დაბა ხობშიც.

საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ არ არსებობს აღნიშნული ქალაქებისა და დაბის განაშენიანების გეგმები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები გ. შენგელია, შ. ნემსაძე, რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ბერიძე, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ვ. გეჯაძე, სიღნაღის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი მ. კრაწაშვილი, ახმეტის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი ა. მაისურაძე, ხობის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დ. ახალაია, საქართველოს სახმშენის განყოფილების გამგე კ. ჯავახიშვილი, საავტომობილო გზების სამინისტროს განყოფილების გამგე ა. წიკლაური და სხვები.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

X X X

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **საკანონმდებლო განზრახულებათა** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ს. ქაჯაიას მოხსენება მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

გაიზარდა ამ სახეობის დანაშაულთა გამოვლინება, გაუმჯობესდა საქმეთა გამოძიება-განხილვის მდგომარეობა, ამაღლდა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხარისხი.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ სასამართლო ორგანოების მუშაობაში ამ მხრივ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები — დაბალია ამ კატეგორიათა საქმეებზე ჩატარებული სამსჯავრო გამოძიების დონე, სრულყოფილად არ ხდება ასეთი დანაშაულის წარმოშობისა და ხელშემწყობი მიზეზების გამოვლინება, ნაკლებად ეწყობა სასამართლოს გამსვლელი სხდომები. სათანადო პროფილაქტიკური მუშაობა არ წარმოებს მშრომელთა კოლექტივებსა და მოსახლეობაში.

სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით საკლებად იყენებენ პრესას, რადიოს, ტელევიზიასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.

მუდმივი კომისიის ამავე სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კოდექსებში ზოგიერთი ცვლილებათა შეტანის საკითხი.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები მ. ბიბილაშვილი, ვ. გელაშვილი, ი. ყიფიანი, ბ. ჟღენტი, ა. წურწუმია, ლ. ჯანელიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ს. ჯორბენაძე და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ა. კარანაძემ.

განხილული საკითხების გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილებანი.

X X X

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის **საყოფაცხოვრებო მომსახურების** მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა მისი თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ჟვანიას მოხსენება ქალაქების გორის, რუსთავის და ქუთაისის სასტუმროების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს აღნიშნულ ქალაქებში შესამჩნევად გაუმჯობესდა სასტუმროების მუშაობა. ამაღლდა სტუმართა მომსახურების კულტურა. წარმატებით შესრულდა 1970 წლის საფინანსო და საწოლდღეთა გეგმები, შემცირდა საწოლთა თვითღირებულება. შემოწმებულ სასტუმროთა მეტ ნაწილში მოწყობილია საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ გორის, რუსთავის და ქუთაისის სასტუმროების მუშაობაში არის მთელი რიგი **ნაკლოვანებები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის, რუსთავის, ქუთაისის სასტუმროები განიცდიან ავეჯის ნაკლებობას, ხოლო არსებული ავეჯის ნაწილი მოძველებულია. ქ. ქუთაისის სასტუმრო „ქუთაისის“ შენობა საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო დანარჩენი სასტუმროები მეტ-ნაკლებად მოითხოვენ მიმდინარე შეკეთებას. ქ. გორის სასტუმრო „ინტურისტში“ არ იყიდება ჟურნალ-გაზეთები, გზამკვლევები, ცნობარი საქართველოს და გორის ისტორიული ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ.

გორისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომები არ განიხილავენ სასტუმროების მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები ა. კორშია, დ. საბაშვილი, ა. გონაშვილი, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე გ. ბერიძე, რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. სოფრომაძე, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ჩიხლაძე, საავტიო საზოგადოება „ინტურისტის“ მმართველი დ. ჩიბურდანიძე, გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ო. სოსანიძე.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 26 თებერვლის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დააჯილდოვა 301 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		8
ქ. ფოთიდან		1
ქ. რუსთავიდან		7
ასპინძის	რაიონიდან	10
ახალქალაქის	„	35
ახალციხის	„	15
ბოგდანოვკის	„	5
ბოლნისის	„	17
გურჯაანის	„	2
დუშეთის	„	16
ვანის	„	3
ზუგდიდის	„	4
თიანეთის	„	2
კასპის	„	10
ლაგოდეხის	„	13
მარნეულის	„	68

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის	„	3
მაიაკოვსკის	„	5
საგარეჯოს	„	16
ყვარლის	„	2
ხობის	„	6
სამხრეთ ოსეთის ა/ო		53

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 26 თებერვლის ბრძანებულებებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:

დუშეთის რაიონში —ბარისახოს სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები — გუდანი, ბაცალიგო, აყნელი, ბისო, ზეისტეჩო, ღული. ჩხუბა, ძეძეურთა, როშკა, წინხადუ, ჭიე, ჭორმეშავი, ხახმატი, ახიელი, ამღა და მათგან შეიქმნა გუდანის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ გუდანში.

აღდგენილია გაუქმებული სოფლები — ქობულო, ღელისვაკე, ქმოსტი, უკანხადუ და ატაბე.

სოფელი ქობულო ადმინისტრაციულად დაექვემდებარა ბარისახოს სასოფლო საბჭოს, ხოლო ღელისვაკე, ქმოსტი, უკანხადუ და ატაბე—გუდანის სასოფლო საბჭოს.

მლეთის სასოფლო საბჭოს, ცენტრის სახელწოდების შესაბამისად, ეწოდა ქვეშეთის სასოფლო საბჭო.

ხეობის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი კოშკასყელი და მიეკუთვნა ლაფანაანთკარის სასოფლო საბჭოს.

მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდა უკანაფშავის სასოფლო საბჭოს სოფელი ბულალაურთა და გრემისხევის სასოფლო საბჭოს სოფელი კორაანი.

თიანეთის რაიონში — მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო გაუქმდა თიანეთის სადაბო საბჭოს სოფლები საყარაულო და თხილა.